2-17154/25
10-12-2025

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონების პროექტები: „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები (07-2/420/10; 24.09.2025).

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2024 წლის 17 სექტემბრის N383/6 გადაწყვეტილებით, აღნიშნულ კანონპროექტებზე წამყვანი კომიტეტია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2025 წლის 8 დეკემბრის N97/17-XIმპ გადაწყვეტილებით მიღებულია აღნიშნული კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვა, ხოლო განხილვის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 2025 წლის 12 დეკემბერი. საკითხის სრულყოფილად განხილვის მიზნით, აღნიშნულ ვადაში კანონპროექტების განხილვა ვერ ხერხდება, შესაბამისად, მიზანშეწონილია, კანონპროექტები დაჩქარებული წესით განხილულ იქნეს მომდევნო პლენარულ სხდომებზე.

გთხოვთ, განსაზღვროთ აღნიშნული კანონპროექტების განხილვის ახალი ვადები.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
არჩილ გორდულაძე